ოქმი:**ო37. 3726093001**

თარიღი:**03/04/2026**

ოქმი N 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2026 წელი, 1 აპრილი

ქ. ოზურგეთი

16.00 -16:30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ. კიკვაძე, პ. კიღურაძე, ტ. აროშიძე, დ. ჭაკნელიძე, გ. ჩავლეშვილი, მ. ჩხიკვიშვილი, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე, დ. ხურციძე, ქ. ხომერიკი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 11 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარიკა ჩხიკვშვილი

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის N 13 დადგენილებასი ცვლილების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ტატა ბარამიძე

3. „ქალაქ ოზურგეთში საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“--ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

5. ”საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში და ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

გადაწყვიტეს:

1. სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული N 1 საკითხები შეტანილ იქნას იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

2. N 2,5 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში განხილვისა და დამტკიცების მიზნით, ამასთან დარგობრივმა კომისიამ საკრებულოს სხდომაზე (დ.ჭაკნელიძემ) წარმოადგინოს N5 საკითხზე დასკვნა.

3. N3 საკითხი დაეწეროს განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად საკრებულოს დარგობრივ კომისიას (დ. ჭაკნელიძე).

4. N4 საკითხი განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას (ბ. თოიძე).

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნას მიმდინარე წლის 3 აპრილს საკრებულოს სხდომათა დარბაზში 11:00-საათზე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი